# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№12 (67) 2016


## თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია



2017 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმით ხვდება. გეგმის შემუშავება თსუ ახალი რექტორის, გიორგი შარვაშიძის ინიციატივით დაიწყო და უნივერსიტეტის სასწავლო და აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა ფართო ჩართულობით წარიმართა. გასულ კვირას დოკუმენტი აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა და პირველ უნივერსიტეტს კავკასიაში ამჯერადაც მნიშვნელოვანი მისია განუსაზღვრა:

უნივერსიტეტის მისია არის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ცოდნის გენერირება და გავრცელება; სამეცნიერო კვლევების განვითარება; აკადემიური თავისუფლების დაცვა; სტუდენტსა და უნივერსიტეტის პერსონალზე ზრუნვა; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობა. უნივერსიტეტის მისიაა, ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის სახელი, ისტორიულ პირველობასთან ერთად შეინარჩუნოს პირველობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებოდეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტთა რიცხვს, ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას.

უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეთიკურ იდეალებს; კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას; ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს.

მისიის შესრულებას არსებული ნაკლოვანებების რეალისტური შეფასება და ანალიზი სჭირდება. სწორედ ამიტომ კონცეფცია მნიშვნელოვან კვლევით და ანალიტიკურ ნაშრომებს დაეფუძნა:

2008 წელს შესრულებული ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობის ეფექტიანობის შესახებ (შემს-

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებული თსუ სტუდენტები ხის სათამაშოების ბიზნესს აწყობენ

*უნივერსიტეტელმა მეგობრებმა ერთობლივი ბიზნესის დაწყების იდეის საქმედ ქცევა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ფაბლაბის შესაძლებლობების შესახებ გაიგეს. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტმა საბა ღუდუშაურმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ზურაბ გომიაშვილმა და ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სოფო ხიმშიაშვილმა ხის სათამაშოების წარმოება გადაწყვიტეს. ამის შესაძლებლობას თსუ მეათე კორპუსში არსებული ბიზნეს-ინკუბატორის ტექნიკა და დანადგარები იძლეოდა. ექსპერიმენტი საკმაოდ მალე, დიდი წარმატებით, „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის მოგებით დასრულდა.*

*როგორც საბა ამბობს, მას და მის მეგობრებს იდეა საინტერესოდ იმის გამოც მოეჩვენათ, რომ აქტიური ურთიერთობა მოუწევდათ ბავშვებთან და საბავშვო ბაღებთან. საცდელად რამდენიმე სათამაშოც დაამზადეს, რომელთაგან ერთ-ერთი „ფაზლის“ სახით დამზადებული საქართველოს რუკა გახლდათ. რუკა საკმაოდ მარტივად იშლებოდა და იწყობოდა და, შესაბამისად, ბავშვიც საკმაოდ მარტივად ითვისებდა, თუ სად მდებარეობდა საქართველოს ესა თუ ის კუთხე.*

*სულ მალე ტექნოპარკმა კონკურსი – დაიწყე „ბიზნესი ფაბლაბთან“ ერთად გამოაცხადა, რომელშიც გუნდმა მონაწილეობა მიიღო და საკმაოდ კარგი მონაცემებიც აჩვენა. როგორც საბა ამბობს, კონკურსში მონაწილე კომპანიებიდან „თბილისი მოლში“ გამართული ბაზრობისას თავისი პროდუქციის გაყიდვების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ მათმა კომპანიამ, „Georgian Factory“-მ აჩვენა. კონკურსში მონაწილე 500 კომპანიიდან „საბოლოოდ“ მაშინ 20 შეირჩა, რომელთაგან ერთ-ერთი საბას გუნდიც იყო.*



*გაგრძელება მე-2 გვ.*

## „ვისწავლოთ ქართული“ თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები უკვე წელიწადზე მეტია ძალიან საინტერესო ინიციატივაში არიან ჩართული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ დაფინანსებული საპილოტე პროექტის „ვისწავლოთ ქართული“ განხორციელება 2015 წელს დაიწყო. პროექტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით სწავლების პროგრამა ყველა მსურველს სთავაზობს სახელმწიფო ენის შესწავლას.

2016 წელს „ვისწავლოთ ქართულს“ დაემატა ახალი ელემენტი – საქართველოს კონსტიტუციის საფუძვლები, კერძოდ ყურადღება გამახვილებული იყო ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებზე. სწავლებაც, შესაბამისად, გახდა ორსაფეხურიანი.

პროექტი განხორციელდა სამი რეგიონის (ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე–ჯავახეთი), 9 მუნიციპალიტეტის (მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, ახალქალაქი, ახალციხე, საგარეჯო, ლაგოდეხი), 73 სოფელში, სადაც 5000–ზე მეტი მსმენელია.

პირველივე ეტაპზე ამ პროგრამისთვის შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელო (შემდგენელი თსუ ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია), პრაქტიკული სავარჯიშოებითა და დიალოგის ხასიათის ტექსტებით, რომელიც მსმენელებს ყოველდღიურ საუბარში გამოადგებათ.

„ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია სახელმწიფო ენის შესწავლა ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ჯეროვნად ვერ ფლობს ქართულ ენას. ეს შესაძლებლობა უნდა იქმნებოდეს არა მხოლოდ სკოლამდელ ბავშვებში, სკოლის მოსწავლეებში ან სტუდენტებში, არამედ ყველა მსურველისათვის. ჩვენი პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება“, – ამბობს პროექტის „ვისწავლოთ ქართულის“ კოორდინატორი, თსუ პროფესორი ეკატერინე კობახიძე.

პროექტის მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე საუბრობს პროექტის ერთ-ერთი მსმენელი გარდაბნის რაიონიდან, აიგიუნ მამედოვა: „მე ფარმაცევტი ვარ და ჩემი საქმიანობისთვის ძალიან მჭირდებოდა ქართული ენის ცოდნა. ამ სურვილის ასრულებაში პროექტი „ვისწავლოთ ქართული“ დამეხმარა, უკვე მეორე საფეხური დავასრულე და ძალიან კმაყოფილი ვარ იმ შედეგით, რაც მივიღე. ჩემი სურვილი იქნება ასეთი პროგრამების არსებობა, გაგრძელება, რათა უფრო მეტი ეთნიკურად არაქართველი დაეუფლოს ქართულ ენას“, – ამბობს იგი.

ელენე ნაპირელი ახალგაზრდა მასწავლებელია. ის კვირაში ორჯერ თბილისიდან სოფელ ქოს-

*გაგრძელება მე-2 გვ.*



## ქართული ექსპედიცია კვიპროსზე

გასულ თვეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგთა მიერ კუნძულ კვიპროსზე უაღრესად საინტერესო ექსპედიცია განხორციელდა. მისი მიზანი კუნძულ კვიპროსზე ქართული კვალის მიკვლევა იყო.

ალამინო, სადაც ქართული ექსპედიციის მიერ 5-26 ნოემბერს არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა, კუნძულ კვიპროსის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ლარნაკას დასავლეთით 20 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. დაბალი ბორცვებით შემოსაზღვრულ სწორ მინდორზე, რომელიც ამჟამად სახნავ-სათესად გამოიყენება, ეკლესიის მცირე ნანგრევი იდგა. კვლევის მონაწილეების მიზანი იყო იმის დადგენა, იყო თუ არა ამ ადგილებში სამონასტრო ცხოვრება საერთოდ და რამდენად იყო დაკავშირებული იგი ქართველთა მოღვაწეობასთან.

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი, ვახტანგ ლიჩელი აღნიშნავს, ამ საქმის ინიციატო-

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## თსუ მეცნიერის წიგნი კემბრიჯის გამომცემლობამ გამოსცა



*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტის პროფესორის, კლინიკა “პინეო სამედიცინო ეკოსისტემა” ნევროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ცისკარიძის წიგნი „მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტი“ კემბრიჯის უნივერსიტეტმა გამოსცა. ალექსანდრე ცისკარიძესთან ერთად მისი თანაავტორ-რედაქტორები არიან ნევროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტიდან არნე ლინდგრენი და ნევროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი მინესოტას (აშშ) უნივერსიტეტიდან ადნან ქურეში. წიგნი ელქტრონული ფორმატით უკვე დევს „კემბრიჯ ქორის“ ონალიან ბაზაში, რომელიც სრულიად ახალ პლატფორმას წარმოადგენს კემბრიჯის აკადემიური გამოცემების გასაერთიანებლად. ალექსანდრე ცისკარიძეს სწორედ მისი წიგნის შესახებ ვესაუბრეთ.*

გვ. 3

## ფსიქოლოგიური და საკონსულტაციო ცენტრი სტუდენტებისთვის



*თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური და საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნება. დასაწყისისთვის, ცენტრი მხოლოდ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ფარგლებში იმუშავებს, პროექტის წარმატებისა და შესაბამისი რესურსების არსებობის შეთხვევაში, საუნივერსიტეტო მომსახურებაზე გადავა.*

*იგეგმება ცენტრის სერვისის სამი მიმართულებით განვითარება, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა კონკრეტულ საჭიროებებს. ეს მიმართულებები იქნება: ფსიქოლოგიური კონსულტაცია, კონსულტირება დასწავლისა და კონსულტირება კარიერის დაგეგმვის საკითხებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ცენტრის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებასაც მიიღებენ.*

*საკონსულტაციო ცენტრის შექმნის იდეისა და მიზნების შესახებ, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ გაგოშიძე საუბრობს.*

გვ. 4

## „შემოდგომის ლეგენდა 2016“ – გამარჯვებული ცნობილია



გვ. 4

# ქართული ექსპედიცია კვიპროსზე

*პირველი გვერდიდან*



რი და ორგანიზატორი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იყო. ფინანსურად კი მთლიანად საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ იყო უზრუნველყოფილი. კუნძულ კვიპროსზე არქეოლოგიური გათხრების წარმოების ნებართვა კვიპროსის კულტურის სამინისტრომ/კვიპროსის სიძველეთა დეპარტამენტმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გასცა ვახტანგ ლიჩელის სახელზე. „2015 წელს ჩვენ წინასწარული არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები ჩავატარეთ კუნძულ კვიპროსის იმ ადგილებში, რომლებიც საისტორიო წყაროებისა და ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. მათ შორის იყო სოფელი ალამინო, სადაც ისტორიკოს სოფო ლაჭყებიანის მიერ მოძიებული ცნობების მიხედვით, სტეფანე ლუზინიელი (თხზულება გამოცემულია პარიზში 1580 წელს) ქართულ მონასტერს იხსენებს: „(იბერებს) ჰქონდათ კუნძულზე რამოდენიმე მონასტერი, ძირითადად, სოფელ ალამინოს მახლობლად“, – განმარტავს ვახტანგ ლიჩელი.

ექსპედიციის მონაწილეებიდან ორი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი: გიორგი გაგოშიძე, ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ზურაბ გიორგაძე, ამავე სააგანტოს არქეოლოგიური სამსახურის მთავარი სპეციალისტი იყო. დანარჩენი წევრები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტები იყვნენ: კობა კობერიძე, სულიკო კოხრეიძე, დავით ნასყიდაშვილი, დავით გაგოშიძე, ბორის გელაშვილი, თამარ ლეჟავა, ალექსანდრე ჭუმბურიძე.

როგორც არქეოლოგები აღნიშნავენ, მუშაობის პროცესს, მისი დაწყების მომენტიდან მორიდებით, მაგრამ დიდი ინტერესით აკვირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ ექსპედიციის წევრი სტუდენტების მიერ გაწეული შრომა და მისი შედეგი - წმინდა გიორგის ეკლესია ნახეს, მოხდა მოულოდნელი რამ – სრულიად უცხო ადამიანები, რომლებიც მინდორში დადიოდნენ სამუშაოდ, ყოველდღიურად უხვი საჩუქრებით (ვისაც რა ჰქონდა) მიდიოდნენ მათთან. თავის მხრივ, ქართველები საქართველოს შესახებ აქედან წაღებულ ბროშურებს ურიგებდნენ.

„შედგები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა: ჩვენ მივაკვლიეთ და თითქმის მთლიანად შევისწავლეთ ეკლესია და მის გარშემო გამართული 14 სამარხი. ეკლესია, სამარხების მსგავსად წინასწარულად XIV-XVI საუკუნეებით თარიღდება. თუმცა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ აქვე არის აღმოჩენილი გაცილებით ძველი, XII-XIII საუკუნეების ფრაგმენტებიც, რაც ზუსტად ემთხვევა ქართველთა აქტიური მოღვაწეობის ხანას კვიპროსზე. ეკლესიის ინტერიერი შემკული აღმოჩნდა პილასტრებითა და მერხით, ხოლო იატაკი მარმარილოს ფილებით იყო მოგებული. სავარაუდოა, რომ ეკლესია ერთხელ მაინცაა გადაკეთებული და, ამიტომ, იატაკის ფილები ამოყრილია. თითქმის ყველა სამარხში აღმოჩნდა ულამაზესი მოჭიქული კერამიკა. საინტერესოა, რომ მიცვალებულთა დაკრძალვის წესი, რიგ შემთხვევაში, აქ ისეთივეა, როგორიც ჩვენ გრაკლიან გორაზე აღმოვაჩინეთ. კონკრეტულად ამ ადგილზე არქეოლოგიური სამუშაოები პირველად ჩატარდა. გათხრილი ფართობი მთლიანად შემოღობილია, ტერიტორია დაცულია და დაკონსერვებული ჩვენ მიერ. გათხრების მიმდინარეობის პროცესი ორჯერ ინახულა სააგენტოსა და ფონდის ერთობლივმა კომისიამ და რამდენადაც ვიცი, სამუშაოები დადებითად შეფასდა “, – აცხადებს ლიჩელი.

ექსპედიციის ხელმძღვანელი სააგენტოს, ფონდის და სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, თანადგომისათვის მადლობას უხდის კვიპროსელი ქართველების სულიერ მოძღვარს მამა ზაქარიას და საქართველოს ელჩს კვიპროსზე რევაზ ლომინაძეს, რომელმაც ძალზე ბევრი გააკეთა ექსპედიციის წარმატებული შრომისათვის პირობების შესაქმნელად.

# თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია

*პირველი გვერდიდან*

რულებელი: Kelly Novak Opportunities), 2008 წელს შესრულებული ანგარიში ტექნოლოგიის ინსტიტუციური გამოყენების შესახებ (შემსრულებელი: AACRAO Consulting), 2009 წელს შესრულებული კვლევის ანგარიში ორგანიზაციული ეფექტიანობის შესახებ (შემსრულებელი: ნიუ იორკის უნივერსიტეტის სუნი დელჰაის კამპუსის პრეზიდენტი პროფესორი კენდის ვანკო), 2013 წელს შესრულებული კვლევის ანგარიში „ადმინისტრაციული რეფორმები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ (შემსრულებელი: პროფესორი ენ ლონსდეილი), 2015 წელს შესრულებული „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 2012-2013 წლებისთვის“ (შემსრულებელი: სახელმწიფო ულკაუდიტის სამსახური), 2016 წლის „მისაღები ხარისხის განათლების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (შემსრულებელი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური). უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმა დაეფუძნა 2011-2017 წლების გეგმის მიღწეული შედეგების ანალიზს. გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის მუშაობაში ჩართვა შეეძლო ნებისმიერ დაინტერესებულ მსურველს. მუშაობის პროცესში შეგროვდა და დამუშავდა დიდი ოდენობის მონაცემები როგორც ცენტრალური ადმინისტრაციიდან, ასევე, ფაკულტეტებიდან, რამაც საშუალება მოგვცა დაგვესახა მაქსიმალურად რეალისტური და განხორციელებადი ამოცანები.

თსუ-ს განვითარებაში უახლოესი 5 წლის განმავლობაში ძირითადი გამოწვევები, სტრატეგიული გეგმის თანახმად, ასეთია:

1. ბოლო წლებში სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების თსუ-სთან შეერთების შედეგად მივიღეთ ხელოვნური კონგლომერატი, რომლის ფარგლებში არც სამეცნიერო ერთეულებს მიეცათ განვითარების პირობები და ვერც უნივერსიტეტმა შეძლო მათი მდიდარი მატერიალური და/ან ადამიანური რესურსების გამოყენება. თუმცა, აღნიშნული გამოწვევა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებისა და სამუშაო ადგილზე ორიენტირებული სწავლების დანერგვის წინაპირობად;

2. სტუდენტების დასაქმება და შრომის ბაზართან ინტეგრირება დღეს თსუ-ს ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრაციას თეორიული სწავლების პროცესში და ამგვარად დააახლოვოს სტუდენტები და კურსდამთავრებულები შრომით ბაზართან;

3. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის წახალისების მექანიზმების დანერგვა უნივერსიტეტის ფართო პრიორიტეტებისა და მიზნების მიღწევის პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის. მსგავსი მექანიზმების არსებობა ხელს შეუწყობს შრომის საერთაშორისო ბაზარზე არსებული საუკეთესო აკადემიური და ადმინისტრაციული კადრების მოზიდვას;

4. მზარდი დიგიტალიზაციისა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში უნივერსიტეტმა უნდა მოახერხოს თავისი რესურსების მართვის პრინციპების სწრაფი ადაპტაცია მსოფლიო ტექნოლოგიურ ტენდენციებთან; ეს გულისხმობს სწავლებისა და უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემების აქტიურ გამოყენებას, დისტანციური სწავლების მეთოდისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების ათვისებას;

5. კურსდამთავრებულთა აქტივის გამოყენება თსუ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც მოითხოვს შესაბამისი მექანიზმების შექმნასა და ინსტრუმენტების დანერგვას. კურსდამთავრებულები უდიდესი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსია, რომელიც თსუ-ს თანამედროვე და საყოველთაოდ აღიარებული დასავლური პრინციპების გაზიარების შესაძლებლობას მისცემს.

6. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფინანსებისა და მატერიალური აქტივების მართვის მოდელის ცვლილება და ადაპტაცია თანამედროვე მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს როგორც არსებული უძრავი ქონების აღწერას, აქტიურ განკარგვა-გამოყენებას, ასევე, უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განაწილებას ეფექტიანობისა და რაციონალურობის პრინციპების გათვალისწინებით.

7. სტარტაპები, პატენტები, ცოდნის სამკუთხედი – ეს, ასევე, ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევაა გლობალურ საგანათლებლო სივრცეში. ამ ინსტრუმენტების დახვეწა და რიგ შემთხვევაში შექმნა შესაბამისი ინტელექტუალური აქტივების წახალისებით ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობის წინაპირობაა.

დოკუმენტი, რომელიც საზოგადოების სამსჯავროზე უკვე დაიდო, სამ ძირითად პრიორიტეტს ემყარება:

პრიორიტეტი 1. სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება;

პრიორიტეტი 2. სამეცნიერო კვლევითი პროცესის ინტეგრაცია სასწავლო პროცესთან;

პრიორიტეტი 3. სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

უნივერსიტეტში მიაჩნიათ, რომ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა არსებითად უნდა გააუმჯობესოს პოზიციები საერთაშორისო მასშტაბით – დაიკავოს წამყვანი ადგილი უნივერსიტეტების რანჟირების პრესტიჟულ საერთაშორისო სისტემებში და უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომი კურსდამთავრებულისთვის უნდა იქცეს დასაქმებისა და წარმატებული პროფესიული საქმიანობის გარანტად.

მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა უკვე დაწყებულია, თუმცა წინ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი საქმიანობის რთული და მნიშვნელოვანი გზაა.

# თსუ სტუდენტები – კონსტიტუციური უფლებებისთვის

***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების გუნდმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოლიმპიადაში „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“ 8 გუნდს შორის გაიმარჯვა.***

***კონკურსზე ასევე დასახელდა საკონსტიტუციო სასამართლოს სამი რჩეული მონაწილე, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან. სამ გამარჯვებულს შორის თსუ იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტები ლელა მაჭარაშვილი და დავით ღოლიჯაშვილი არიან.***

***ლელა და დავითი კონკურსისა და მიღებული გამოცდილების შესახებ გვესაუბრებიან.***





***ლელა მაჭარაშვილი, თსუ იურიდიული ფაკულტეტი, მე-4 კურსი:***

– ბავშვობიდან ყველასაგან განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა მიჩნდებოდა უსამართლობის მიმართ, სწორედ ამიტომ ჩავაბარე იურიდიულ ფაკულტეტზე. მინდოდა სამართლებრივი მექანიზმების ღრმად შესწავლა, როგორ მებრძოლა ჩემი და სხვისი უფლებებისათვის.

აღნიშნული კონკურსი „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“, დიდი გამოცდილების მომცემი იყო ჩემთვის, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ამ მოკლე პერიოდის განმავლობაში. დოკუმენტებზე ვიმუშავეთ დამოუკიდებლად, გავეცანით სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, მოგვიწია მასალების თარგმნა, მათი ანალიზი, რაც ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. საბოლოოდ, შეირჩა 8 გუნდი და გავემგზავრეთ ბათუმში, სადაც იმიტირებული პროცესები ტარდებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

აქ უკვე ფასდებოდა ჩვენი ზეპირი მეტყველების უნარი, კრიტიკული აზროვნება, ჩვენი არგუმენტირებული მსჯელობა. სირთულეს განაპირობებდა ასევე ისიც, რომ მოსამართლეებიდან ერთ-ერთი, ქალბატონი მაია კოპალეიშვილი, რეალურადაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა, იმიტირებული პროცესები ნამდვილ პროცესებს ჰგავდა და ძალიან რთული იყო პასუხი გაგვეცა მოსამართლეების მიერ დასმულ შეკითხვებზე.

გამარჯვებულად როცა დაგვასახელეს, მაშინ მივხვდი, რომ ამდენი შრომა, გათენებული ღამეები და განცდილი ნერვიულობა ამ ყველაფრად მართლაც ღირდა. ეს იყო საუკეთესო ემოციები ჩემს ცხოვრებაში.

კონკურსში გამარჯვებასთან ერთად, დამასახელეს საუკეთესო მოსარჩელედ და ამასთან, გავხდი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რჩეული. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს იმას, რომ ექვსთვიან ანაზღაურებად სტაჟირებას გავივლი საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც ძალიან მახარებს. ეს არის ის, რისთვისაც ღირდა ამდენი შრომა. საუკეთესო შანსი მომეცა განვითარებისათვის, დიდი გამოცდილების მიღებისათვის, მითუმეტეს, როცა ადამიანის უფლებებით განსაკუთრები ვარ დაინტერესებული.

გამარჯვებაში უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის გარდა, რა თქმა უნდა, ჩემი შესაძლებლობებიც დამეხმარა. თუმცა ვთვლი, რომ მთავარი გავლენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩემს გამარჯვებაზე, ხოლო ზოგადად, ადამიანის უფლებებით დაინტერესებაზე, ჩემმა ერთ-ერთმა ლექტორმა, თსუ პროფესორმა ქალბატონმა ქეთევან ერემაძემ იქონია. ეს არის ადამიანი, რომელმაც სამი თვის განმავლობაში მასწავლა ძალიან ბევრი რამ, მისი ყოველი ლექცია ბევრის მომცემი იყო ჩემთვის და დიდი ზეგავლენა მოახდინა, როგორც ჩემს განათლებაზე, ასევე ჩემს პიროვნულ ზრდაზეც“.

დავით ღოლიჯაშვილი ლელას მსგავსად, ადამიანის უფლებებით არის დაინტერესებული. კონკურსში მონაწილეობაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტა. ანაზღაურებად სტაჟირებასთან ერთად, ის „იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის“ რჩეულიც გახდა და კონსტიტუციური სამართლის კურსს გაივლის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

***დავით ღოლიჯაშვილი, თსუ სამართლის ფაკულტეტი, მე-4 კურსი:***

– პროექტი, რომელშიც მივიღე მონაწილეობა „იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდისა“ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იყო ორგანიზებული. ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისთვის“, რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. პირველ ეტაპზე ორ კაციან ჯგუფებს მოგვიწია საკონსტიტუციო სარჩელისა და შესაგებლის დაწერა. ამ ეტაპზე მონაწილეობა 40-მდე გუნდმა მიიღო, თუმცა იმიტირებული პროცესების ეტაპზე 8 საუკეთესო გადაგვიყვანეს, აქედან 2 - თსუ-ს გუნდი. იმიტირებული პროცესები გაიმართა ბათუმში 8-11 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოში. მოცემული დავალებები საკმაოდ რთული იყო და ამავდროულად საპასუხისმგებლოც.

ოლიმპიადა ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემას, ადამიანის უფლებებს ეხებოდა და მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. კონკურსი გვაძლევდა შესაძლებლობას არამხოლოდ თეორიულად დაგვეწერა სარჩელი და შესაგებელი, არამედ უშუალოდ პროცესებში მიგვეღო მონაწილეობა, ვყოფილიყავით ნამდვილი მოსარჩელეები და მოპასუხეები, შევხვედროდით ამ სფეროში პროფესიონალ ადამიანებს.

გადმომეცა „საუკეთესო მოპასუხის ტიტული“, ასევე გავხდი „იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის“ რჩეული, გავივლი კონსტიტუციური სამართლის კურსს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ვარ ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს რჩეულიც – გავივლი 6 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას საკონსტიტუციო სასამართლოში.

წარმატების მიღწევაში, პირველ რიგში, ის ცოდნა დამეხმარა, რაც თსუ-მ მომცა. უნივერსიტეტში იღებ, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ცოდნას, ასწავლიან პროფესიონალი ლექტორები და გაქვს უამრავი შანსი საკუთარი თავის განვითარებისათვის. აქვე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორს, ქალბატონ ქეთევან ერემაძეს უზომოდ დიდი დახმარებისა და გულშემატკივრობისათვის.

# „ვისწავლოთ ქართული“ თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად

ლარში დადის, რათა თანამოქალაქეებს ქართული ენა შეასწავლოს.

„ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია სახელმწიფო ენის სწავლება, დაცვა, რაც უზრუნველყოფს ნებისმიერ მოქალაქესთან მარტივ და შედეგიან კომუნიკაციას. სწორედ ამიტომ, დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით, უკვე ექვსი თვეა, რაც ჩართული ვარ პროგრამაში – „ვისწავლოთ ქართული“, რომელიც საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენისა და კონსტიტუციის საფუძვლების დაჩქარებული მეთოდით სწავლებას გულისხმობს.

პროექტი იძლევა საშუალებას, რომ ყველა მსურველმა უფასოდ შეისწავლოს სახელმწიფო ენა და ინტეგრირდეს ერთიან ქართულ სივრცეში. გარდა ამისა, სხვა მხრივაც ძალიან მნიშვნელოვანია პროექტი, ის ერთმანეთთან გვაახლოებს და გვამეგობრებს საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა, ადამიანები გრძნობენ, რომ სახელმწიფო მათ გვერდში უდგას და მათზე ზრუნავს.

ამ პროექტში ჩართვისთვის ძალიან დამეხმარა ის გამოცდილება, რომელიც ქართული დიალექტური კორპუსის საშუალებით ქართული ენის სწავლებამ (საინგილოსა და ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებთან) შემძინა. შემდეგ იყო რამდენიმე ლექცია სომხურ და აზერბაიჯანულ მოსამზადებელ ჯგუფებთან. სწორედ ამან განაპირობა, რომ დღეს ერთ-ერთი მასწავლებელი ვარ და თეთრიწყაროს რაიონ სოფელ ქოსალარში, მაია ბარიხაშვილთან ერთად, ქართულ ენას ვასწავლი. სკოლაში მისულს ცოდნით ანთებული თვალები რომ შემომეგებება, ყველანაირი დაღლა მაშინვე მავიწყდება და ენერგიით მავსებს.

პროექტმა კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შემძინა; გამაცნო და დამაახლოვა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან, გავიგე, რით ცხოვრობენ, რა უჭირთ და ულხინთ, რა სჭირდებათ, რა აინტერესებთ, რა სურთ... ოჯახის წევრებივით გვაღელვებს მათი ცუდი და კარგი, ეს ასეც უნდა იყოს, ჩვენ ხომ ერთი დიდი ოჯახის – საქართველოს შვილები ვართ. ეს ყველაფერი კი პროგრამის ძალიან დიდი დამსახურებაა. ასევე, პროექტის არაჩვეულებრივი ორგანიზატორების – ნინო ჯორბენაძისა და ეკა კობახიძის, რომლებიც არ იშურებენ ძალისხმევას და ყოველთვის ჩვენ გვერდით დგანან“, – აცხადებს ელენე ჩვენთან საუბარში.

17 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამა „ვისწავლოთ ქართული“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. წარმატებულ მსმენელებსა და პედაგოგებს სერტიფიკატები გადაეცათ. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პროექტის შესახებ გადაღებული ფილმი და სწავლების პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეომასალა.

# „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებული თსუ სტუდენტები ხის სათამაშოების ბიზნესს აწყობენ

*პირველი გვერდიდან*



ამის შემდგომ, პრემიერ მინისტრის ინიციატივით, მალე ახალი კონკურსი, „სტარტაპ საქართველო“ გამოცხადდა. „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამას მთავრობა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან და საპარტნიორო ფონდთან ერთად ახორციელებს. „Georgian Factory“-მ, სხვა რამდენიმე ფინალისტთან ერთობლივად, ამ კონკურსში სოლიდური დაფინანსება მოიპოვა.

კომპანიაზე არჩევანი, საბას განმარტებით, მათ მიერ ქართული სათამაშო პროდუქციის წარმოებისა და შშმ პირთა აზრის კვლევაზე აქცენტის გაკეთების გამო გადაწყდა. შშმპ-ებთან თანამშრომლობა, საბას განმარტებით, მათთან აქტიური კონტაქტის საშულებით იმის გარკვევას გულისხმობს, თუ რა სახის პროდუქცია, სათამაშოა მათთვის უფრო მისაღები და საინტერესო. გარდა ამისა, ახალგაზრდა მეწარმეები სათამაშოებზე მათთვის შეღავათიანი ფასის დაწესებასაც აპირებენ. ამ დროისთვის, კომპანიის წარმომადგენლებს აქტიური კონტაქტი აქვთ ერთ-ერთ სკოლასთან, სადაც მხედველობადაქვეითებული ბავშვები სწავლობენ.

იმის დასატესტად, თუ რა სახის ხის სათამაშოები უნდათ ბავშვებს და მათ მშობლებს, საბას და მის მეგობრებს სხვადასხვა აქტივობა აქვთ დაგეგმილი. მათ შორისაა ფეისბუქი, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდა მეწარმეები მომხმარებელს უკვე არსებულ პროდუქციაზე მაქსიმალურ ინფორმაციას და ახლის დამზადებაზეც იდეებს შესთავაზებენ. პროდუქციის რეალიზების საშუალებად, ტრადიციული გზების გარდა, „Georgian Factory“-ის წარმომადგენლებს სხვადასხვა ინტერნეტ გვერდებიც მიაჩნიათ.

კონკურსის შედეგად აღებული თანხის დიდი ნაწილი (სადღაც 67 ათას ლარამდე) ახალგაზრდა კომპანიის წევრების მიერ სათამაშოების დასამზადებლად საჭირო დანადგარზე დაიხარჯება, რომლის ჩამოტანასაც აშშ-დან ელოდებიან. თანხის ნაწილი გადანაწილდება კომუნალურ და მასალის ხარჯებზე და პირველი რამდენიმე თვის ხელფასზე, რათა სანამ ახალგაზრდები თავისი პროდუქციის წარმატებით რეალიზებას შესძლებენ, საქმიანობაში შეფერხება არ ჰქონდეთ. როგორც საბა ამბობს, საწყის ეტაპზე, ხარჯების დასაზოგად, საქმიანობაში მათი სამეგობრო და სააახლობლოა ჩართული. კომპანიაში ხალხის დამატებას კი ბიზნესის გაფართოვების შემდგომ გეგმავენ.

ახალგაზრდების მიერ უკვე შექმნილი სათამაშოებიდან, ყველაზე პოპულარული თავსატეხის სახით სხვადასხვა კუთხეებით აწყობილი საქართველო აღმოჩნდა. მართალია „Georgian Factory“-ის პროდუქცია სამ წელს ზემოთ ასაკის ბავშვებზეა გათვალისწინებული, მაგრამ ეს სათამაშო დიდი სიამოვნებით მოზრდილებმაც შეიძინეს. მათ შორის ნაწილმა ოფისის გასაფორმებლად.











# თსუ მეცნიერის წიგნი კემბრიჯის გამომცემლობამ გამოსცა

*პირველი გვერდიდან*

***— ბატონო ალექსანდრე, თუ შეიძლება დავაზუსტოთ, ვინ არის წიგნის სამიზნე აუდიტორია და რა კონკრეტულ შედეგზე შეიძლება საუბარი მისი გამოქვეყნების შემდეგ?***

— წიგნის სამიზნე აუდიტორიას, პირველ რიგში, წარმოადგენენ ექიმები-კლინიცისტები. რადგან მასში მოცული პრობლემები ძალზე პრაქტიკული სახის და კლინიკური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია. კერძოდ, კი იგი იმ ექიმებისათვისაა განკუთვნილი, ვისაც ინსულტის დიაგნოსტირება და მკურნალობა უწევს. ძირითადად ეს ნევროლოგები და გადაუდებელი დახმარების ექიმები არიან, თუმცა, ამ წიგნში ინსულტის ისეთი ასპექტებიც არის განხილული, რომელიც ნევროლოგის გარდა სხვა პროფილის ექიმსაც შეიძლება შეხვდეს პრაქტიკაში, დაწყებული რეანიმატოლოგით ან კარდიოლოგით, დამთავრებული ქირურგით ან მეან-გინეკოლოგით. ასე მაგალითად, წიგნში ერთ-ერთი თავი ეძღვნება ინსულტს სამეანო პროფილის პაციენტებშიც (ორსულები, მშობიარები ან მელოგინეები). ამგვარი შემთხვევები ხშირი არ არის, მაგრამ სამწუხაროდ გვხვდება და შესაბამისი დარგის სპეციალისტმა უნდა იცოდეს, როგორ გაუმკლავდეს პრობლემას. ინსულტის განვითარების შემთხვევები არც თუ იშვიათად შესაძლოა შეგხვდეს სხვადასხვა სამკურნალო-სადიაგნოსტიკო პროცედურის ჩატარების დროს. მაგალითად, მთელს მსოფლიოში და მათ შორის ჩვენშიც, ძალიან გავრცელებული ე.წ. ინვაზიური სადიაგნოსტიკო მეთოდია გულის გვირგვინოვანი არტერიების ანგიოგრაფია (კორონაროგრაფია), რასაც საკმაოდ ხშირად მოჰყვება სამკურნალო პროცედურაც (სტენტირება), რაც გარკვეულ შემთხვევაში (მართალია, ძალიან იშვიათად) შეიძლება გართულდეს იშემიური ინსულტით. ინსულტი შესაძლოა მოჰყვეს ასევე სხვადსხვა ქირურგიულ ოპერაციებს სისხლძარღვებზე, შინაგან ორგანოებზე, ნეიროქირურგიულ ოპერაციებს, ენდოვასკულურ ჩარევებს, თვით ინსულტის ზოგიერთი ფორმის სამკურნალოდ ჩატარებულ ღონისძიებებს. მედიკამენტურ მკურნალობასაც ზოგჯერ ახლავს გარკვეული გართულებები თუ გვერდითი მოვლენები, ზოგჯერ ინსულტის სახითაც. მაგალითად, ზოგიერთი დაავადების საპროფილაქტიკოდ ან სამკურნალოდ გამოიყენება სისხლის გამათხელებელი ან თრომბის დამშლელი საშუალებები, რასაც შეიძლება მოჰყვეს სისხლჩაქცევა, მათ შორის სისხლჩაქცევა თავის ტვინში. ანუ ესეც გახლავთ მკურნალობასთან დაკავშირებული ინსულტის (ამ შემთხვევაში ჰემორაგიული), ერთ-ერთი სახე. სხვადასხვა ორგანოს ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ძალიან ხშირად და საკმაოდ ეფექტიანად გამოიყება ქიმიო- და სხივური თერაპია. მასაც ზოგჯერ ახასიათებს გართულებები იშემიური ან ჰემორაგიული ინსულტების სახით. მანუალურმა თერაპიამაც კი, მისი არასწორად ჩატარების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინის მკვებავი სისხლძარღვის დაზიანება და კვლავ ძალიან მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც, ინსულტის განვითარების საშიშროება. ანუ არსებობს მკურნალობასთან დაკავშირებული გართულებები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ინსულტის სხვადასხვა სახეები. ვინაიდან ჩვენს ეპოქაში სულ უფრო მატულობს მკურნალობის ეფექტიანი, ამავდროულად „აგრესიული“ მეთოდების განვითარება და დანერგვა, სულ უფრო მეტ პაციენტს უტარდება უაღრესად მაღალი სირთულის დიაგნოსტიკური თუ სამკურნალო პროცედურები, ცხადია იზრდება ამ მეთოდების გვერდითი მოვლენების თუ გართულებების სიხშირეც. ბუნებრივია, ექიმი ყოველივე ამის შესახებ კარგად გაცნობიერებული უნდა იყოს და ისიც ზედმიწევნით კარგად იცოდეს თუ რა სახის რეაგირება მოახდინოს ამგვარ სიტუაციებში.

***— კერძოდ რა განასახვავებს ამ წიგნს მსგავსი პროფილის, ტიპის სახელმძღვანელობისა თუ მონოგრაფიისაგან?***

— ძალიან ბევრი მონოგრაფია, წიგნი და გაიდლაინია ნევროლოგიის სფეროში ინსულტის მკურნალობის მიმართულებით, თუმცა თითოეული მათგანი დროის განმავლობაში ძველდება. კლინიკური მედიცინა მუდმივად, ამასთან უაღრესად მაღალი ტემპით განვითარებადი დარგია, რასაც ფეხდაფეხ უნდა მიყვეს დარგის პროგრესის ამსახველი საინფორმაციო, მათ შორის, ბეჭდვითი პროდუქცია, რათა პრაქტიკოსმა ექიმმა დროულად მიიღოს ყველაზე თანამედროვე ინფორმაცია, შეიძინოს და განაახლოს ცოდნა. ამ წიგნს სხვებისგან განასხვავებს ის, რომ მასში მოტანილი ძალიან ბევრი საკითხი შეეხება უახლეს დიაგნოსტიკურ და სამკურნალო ტექნოლოგიებს. მკურნალობის და დიაგნოსტიკის ის საშუალებები, რომელიც ადრე არ არსებობდა, ძალიან სწრაფად ინერგება და ვითარდება. ბუნებრივია, ამ მეთოდებს ახლავს გვერდითი მოვლენები და გართულებებიც. მკურნალობის და დიაგნოსტიკის მეთოდებთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების შესახებ ადრინდელ სახელმძღვანელოებში საუბარი თუნდაც იმიტომ არ იყო, რომ ადრე თავად ასეთი სახის მეთოდები არ არსებობდა ან ნაკლებად იყო განვითარებული და დანერგილი. ამის მაგალითად გამოდგება ენდოვასკულური პროცედურები სხვადასხვა სისხლძარღვოვანი თუ არა სისხლძარღვოვანი პათოლოგიების დროს. ეს მეთოდები კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ ბოლო წლებში წარმოუდგენლად გაიზარდა იმ პაციენტების რაოდენობა ვისაც ამ სახის მკურნალობა უტარდება. იგივე შეიძლება ითქვას ქიმიო- და სხივურ თერაპიაზე. ამ სახელმძღვანელოში მოწოდებულია მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ასეთ შემთხვევებში ინსულტის, როგორც გართულების, პრევენციაზე, გართულების შემთხვევაში კი მის დიაგნოსტირებასა და მკურნალობაზე. ამიტომაც არის ეს თემატიკა ძალიან აქტუალური, და იმის გამო, რომ წარსულში იგი სისტემური შესწავლის ობიექტი არ გამხდარა, აქამდე ერთ მონოგრაფიაში მოცული არც ყოფილა.

***— მოხდა თუ არა თქვენთან ამ პროექტის გარშემო მინესოტასა და შვედეთის უნივერსიტეტების წარმოამდგენელ პროფესორებთან გაერთიანება კონკრეტულად ამ სახელმძღვანელოს გამო, თუ მანამდეც გქონდათ განხორციელებული რაღაც სახის ერთობლივი პროექტები?***

— ამ კონკრეტული პროექტის გამო მიზნობრივად გავერთიანდით. თუმცა, ეს მეცნიერები გახლავან ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები, რომელებსაც კარგად ვიცნობ ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე. როდესაც ამ წიგნის გამოშვების იდეა გაჩნდა, ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო კემბრიჯის გამომცემლობაც. ჩვენ ერთობლივად შევთანხმდით, რომ წიგნის შექმნაში და რედაქტირებაში მონაწილობას მიიღებდნენ ის ადამიანები ვისაც განსაკუთრებული სამეცნიერო თუ პრაქტიკული ინტერესი ჰქონდა სახელმძღვანელოში მოტანილი საკითხებისადმი.




ასევე შევთანხმდით, რომ წიგნის თითოეული თავის ავტორად მოგვეწვია მხოლოდ დარგის წამყვანი ექსპერტები მსოფლიოს მასშტაბით. თავდაპირველად მე და ჩემმა შვედმა თანაავტორმა, პროფესორმა ლინდგრენმა, რომელთან ერთადაც რამდენიმეჯერ მომიწია თანათავმჯდომარეობა წიგნში ასახული თემატიკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებზე ინსულტის ევროპულ და მსოფლიო კონგრესებზე, კემბრჯის საგამომცემლო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ პროექტის შესრულებაში თანარედაქტორად ჩაგვერთო აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტის წარმომადგენელიც, რადგან ეს საკითხები ამერიკაში განსაკუთრებით აქტიურად შეისწავლება. ადნან ქურეში კი ამ დარგის და ზოგადად „ინსულტოლოგიის“, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტია. სახელმძღვანელოზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, რასაც სამ წელიწადზე მეტი მოვანდომეთ.

***— რამდენადაც ვიცით ეს წიგნი უკვე შეტანილია კემბრიჯის ბაზაში „კემბრიჯ ქორი“, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება იგი დაინტერესებული პირებისთვის. ამას გარდა სად შეიძლება კიდევ მისი მოძიება?***

— წიგნის მოძიება შესაძლებელი იქნება ინტერნეტ საიტებზე, პირველ რიგში თვით კემბრიჯის უნივერისტეტის გამომცემლობის საიტზე, აგრეთვე „ამაზონზე“. მსგავს სახელმძღვანელოებს, როგორც წესი, იძენენ უნივერსიტეტები, კლინიკები, ინდივიდუალურად ექიმები და მეცნიერები. წიგნი აგრეთვე გაიყიდება სამედიცინო ლიტერატურის სპეციალიზებულ მაღაზიებში და საერთაშორისო სამეცნიერო სამედიცინო კონგრესებსა და კონფერენციებზე, სადაც როგორც წესი ეწყობა ბეჭდვითი პროდუქციის თემატური გამოფენა-გაყიდვა.

***— თუ არის საუბარი სახელმძღვანელოს ქართულად თარგმნის თარიღებზე და რამდენად საჭიროა ეს?***

— სახელმძღვანელოს თუ მონოგრაფიიის სხვა ენაზე თარგმნა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცედურაა. პირველ რიგში გამომცემლობისგან შესაბამისი უფლებების ყიდვაა საჭირო; შემდგომ იწყება თარგმნის და რედაქტირების პროცედურა სანამ წიგნი საბოლოოდ გადაიცემა დასასტამბად. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ექიმ-სპეციალისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოა და კლინიკური მედიცინის იმ საკითხებს ეხება, რომელიც ძალიან დინამიურად და სწრაფად ვითარდება. ამიტომ მის თარგმანთან დაკავშირებული პროცედურების ხანგრძლივობიდან გამომდინარე ჩვენ შეიძლება მივიღოთ მოძველებული პროდუქტი და წიგნის ავტორები უკვე ახალი რედაქციის გამოშვებაზე ვიყოთ შეთანხმებული. ზოგადად ეს პრობლემა ყველა დარგშია, მაგრამ მედიცინაში განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან იგი პრაქტიკული, გამოყენებითი დარგია და ახალი ინფორმაცია მყისიერად უნდა დაინერგოს. ინგლისური საერთაშორისო სამედიცინო-სამეცნიერო ენაა (რომელსაც, ჩემი აზრით, ნებისმიერი თანამედროვე ექიმი უნდა ფლობდეს, იმ დონეზე მაინც, რომ შეეძლოს სამედიცინო ლიტერატურის გაცნობა), რომლის მეშვეობითაც ექიმს შეუძლია მაქსიმალურად ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო თემაზე. თუ იგი თარგმანს დაელოდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ ოთხი-ხუთი წლით ჩამორჩება პროცესებს, რისი ფუფუნების საშუალებაც მედიცინაში სამწუხაროდ არა გვაქვს. თუ შენ ცოდნა დროულად არ განაახლე, მაშინ არაფერი გესაქმება ამ სფეროში და შენი სპეციალიზაცია არავის სჭირდება.

# ფსიქოლოგიური და საკონსულტაციო ცენტრი სტუდენტებისთვის

*პირველი გვერდიდან*

***პროფესორი თამარ გაგოშიძე:***

„სტუდენტთა მომსახურების ცენტრის იდეა დიდი ხანია მქონდა. ადრე როგორც თსუ პროფესორს და, შემდეგ უკვე, როგორც დეკანს ხშირად მაკითხავდნენ სტუდენტები სხვადასხვა პრობლემით.

სამწუხაროდ დღეს ჩვენ ახალგაზრდობას ბევრი პრობლემა აქვს, უმეტესობას თვითონ უწევს სწავლის საფასურის გადახდა, ბევრი მუშაობს და რთულია მუშაობის და სწავლის შეთავსება, ბევრ სტუდენტს თავისი ყოველდღიური ყოფის მოწყობა უწევს. ყოველივე ეს აისახება სტუდენტის ჯანრმთელობაზეც და ფსიქიკაზეც.

უმეტესობას მაღალი შფოთვა აქვს, რომელიც კიდევ უფრო მწვავდება გამოცდების პერიოდში. ზოგადად სტუდენტებს არ აქვთ დაცულობის და უსაფრთხოების განცდა, რაც გავლენას ახდენს მათი სწავლის ეფექტიანობაზე. გარდა ამისა, ჩვენ სტუდენტობას აქვს სოციალიზაციისა და კომუნიკაციის პრობლემებიც.

საინტერესოა, რომ სტუდენტების კონსულტირება დასწავლის საკითხებზეც გვიწევს – როგორ იკითხონ სწრაფად, როგორ დაისწავლონ დიდი მოცულობის მასალა, რა სტრატეგიები გამოიყენონ წაკითხულის გასააზრებლად. გარდა ამისა, ზოგიერთ სტუდენტს ესაჭიროება დახმარება კითხვის სტრატეგიებში, რადგან შეიძლება კითხვის პრობლემა ჰქონდეს. სხვათა შორის, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დრამატულად გაიზარდა კოლეჯის და უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური პრობლემების მაჩვენებლები. ევროპისა და აშშ კვლევების მიხედვით, უნივერსიტეტის სტუდენტებში განსაკუთრებით მაღალია დეპრესიის და შფოთვის დონე, რაც ნეგატიურად აისახება მათ აკადემიურ და სოციალურ ფუნქციონირებაზე.

ყოველივე ამან გვიბიძგა სტუდენტთა საკონსულტაციო ცენტრის იდეის ჩამოყალიბებისკენ. ვინ, თუ არა, ჩვენ, ფსიქოლოგებმა უნდა ვიტვირთოთ ჩვენი ახალგაზრდების ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და დახმარება. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორებთან საუბრების შემდეგ გამოიკვეთა ის, თუ ამ ეტაპზე, ჩვენ ფაკულტეტს, რა ადამიანური რესურსი გააჩნია საკონსულტაციო სერვისის დასაწყებად. ჩვენ ვაპირებთ უცხოელი ექსპერტების ჩართვას ამ საქმეში, ახალი პროფესიული კადრების მომზადებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით“. – ამბობს პროფესორი თამარ გაგოშიძე.

საკონსულტაციო სერვისი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტებს დაეხმარება ფსიქოლოგიური პრობლემების და სწავლასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, კარიერის ეფექტიანი დაგეგმისთვის საჭირო სოციალური და პრაქტიკული უნარების შეძენაში. ასეთი სერვისის განვითარება უზრუნველყოფს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის პროფესიულ პრაქტიკასა და სუპერვიზიას, ასევე, ბაკალავრიატის საფეხურზე მყოფი სტუდენტების ჩართულობას ფასილიტატორებად, რაც, საბოლოოდ, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასაც შეუწყობს ხელს.

„ვფიქრობთ, სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისის სამი მიმართულებით განვითარებას, რაც ითვალისწინებს სტუდენტთა კონკრეტულ საჭიროებებს. კერძოდ, ფსიქოლოგიური კონსულტაცია – სტუდენტების კონსულტირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ისეთი ფსიქოლოგიური სირთულეების დაძლევაში, როგორიცაა შფოთვა პრეზენტაციის გაკეთებასთან ან გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებით, უკიდურესი სიმორცხვე, პერფექციონისტული განწყობა, აკადემიური აქტივობების გადავადება, ე.წ „პროკრასტინაცია“, სტრესი, დეპრესიული გუნება-განწყობილება, და სხვა.

კონსულტირება დასწავლის საკითხებში სტუდენტების კონსულტაცია დასწავლის ეფექტურ სტრატეგიებთან, წაკითხულის გააზრების გაუმჯობესებისა და სწრაფი კითხვის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე სტუდენტების კონსულტაცია და დახმარება.

კონსულტირება კარიერის დაგეგმვის საკითხებში სტუდენტების კონსულტაცია სასწავლო პროგრამის შერჩევასთან, საუნივერსიტეტო განათლების შემდგომი პროფესიული კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით, პროფესიულ ორიენტაციაში დახმარება.

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ინსტიტუტები: პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის, განათლების ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის – აუცილებლად ჩაერთვებიან ამ მიმართულებების განვითარებაში“ – ამბობს პროფესორი.

ქალბატონი თამარის თქმით, ეს პროექტი მდგრადი და განვითარებადი იქნება. საკონსულტაციო სერვისი მოამზადებს კვალიფიციურ პრაქტიკოს-კონსულტანტებს, რომელთა ნაწილიც დასაქმდება საკონსულტაციო ცენტრში და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის გადამზადების უწყვეტ პროცესს.

# 70 წელი – მორფოლოგიის ინსტიტუტის ისტორია და თანამედროვეობა

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტს – საქართველოში ბიოსამედიცინო სფეროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ასევე ამ დარგების სპეციალისტთა დახელოვნების აღიარებულ ლიდერ ორგანიზაციას – დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა.



ინსტიტუტი აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის მიერ 1946 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის სახით. 2010 წელს ის რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო–კვლევით ერთეულად – თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტად.

1959 წლის ალექსანდრე ნათიშვილის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს მიენიჭა მისი სახელი. ინსტიტუტის დირექტორად კი დაინიშნა აკად. ნინო ჯავახიშვილი – ფართო დიაპაზონის მკვლევარი, დიდი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მეცნიერი, ბატონ ალექსანდრეს უსაყვარლესი მოწაფე.



მორფოლოგიის ინსტიტუტის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს გაიხსნა და ფუნქციონირებდა ექსპერიმენტული და კლინიკური ანატომის, ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ელექტრონული მიკროსკოპიის, პათოლოგიის, ანტროპოლოგიის, სამედიცინო დემოგრაფიის, განვითარების ბიოლოგიის, ბიოფიზიკის, გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის, რადიოიზოტოპური კვლევების, ვირუსოლოგიის, ინფექციური იმუნოლოგიის, ალერგოლოგიის, იმუნოჰისტოქიმიის, ბიო-ტრანსლაციური კვლევების, ანდროლოგიის, კლინიკური პათოლოგიის დიაგნოსტიკის, ექსპერიმენტული ქირურგიის და სხვა დეპარტამენტები, განყოფილებები, ლაბორატორიები.

მორფოლოგიის ინსტიტუტმა დაუდო სათავე საქართველოში მორფოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნას, აგრეთვე ისეთი დარგებისა და მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა ანთროპოლოგია, ელექტრონული მიკროსკოპია, გერონტოლოგია, ანდროლოგია, ბიოტექნოლოგია.

ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების შედეგებმა ორგანოთა სისხლმომარაგებისა და ინერვაციის, სისხლის მილების პლასტიკისა და პროთეზირების, ძუძუს კიბოს, რეგენერაციისა და ადაპტაციის, სამედიცინო ბიოტექნოლოგიების, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის საკითხებში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ინსტიტუტი ჩამოყალიბდა საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით ცენტრად, რომლის კედლებშიც ქართველმა და უცხოელმა (და არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან) მკვლევარებმა შეასრულეს 600-ზე მეტი საკვალიფიკაციო ნაშრომი.

მორფოლოგიის უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჰიუსტონის სამედიცინო ცენტრთან, კენტუკის, სიეტლის, კანზასის უნივერსიტეტებთან, ბალტიმორის გერონტოლოგიის და ნიუ-იორკის პიროვნების ინსტიტუტებთან (აშშ), ვესტფალიის ვილჰელმის და ჰენრიხ ჰაინეს უნივერსიტეტებთან (გერმანია), იზუმოს უნივერსიტეტთან (იაპონია), ასევე რომის გერიატრიულ კლინიკასთან, სლოვაკეთის, რუსეთის, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტებთან.

უკანასკნელ წლებში უცხოელ პარტნიორთა დიდი ინტერესი გამოიწვია კვლევებმა, რომლებიც დაკავშირებულია მორფოლოგიის ინსტიტუტში შემუშავებულ ხელოვნურ ექსტრაკორპორულ საპერფუზიო სისტემებთან, კლინიკურ მედიცინაში მათი გამოყენების სავარაუდო ეფექტებთან და პერსპექტივებთან. ამ მიმართულებით ესპანელ პარტნიორებთან ერთად დაგეგმილია ახალი მასშტაბური 5-წლიანი პროექტი, რომელიც 2017 წელს დაიწყება.

საერთაშორისო თანამშრომლობის უახლესი მაგალითია 2016 სექტემბერში, ბათუმში გამართული სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექიმთა ფორუმის VII საერთაშორისო კონგრესი, რომლის ფარგლებშიც მორფოლოგიის ინსტიტუტმა ორგნიზება გაუკეთა სატელიტურ კონფერენციას, სადაც ქართველი მეცნიერები უცხოელ კოლეგებს ახალი კვლევების მიმდინარეობასა და შედეგებს უზიარებდნენ.

2015 წლიდან საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩაება მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური პათოლოგიის დიაგნოსტიკური ცენტრიც: საქართველოს სოლიდარობის ფონდის ინიციატივით დაიწყო ერთობლივი პროექტი კილის (გერმანია) ბავშვთა პათოლოგიის ცენტრთან, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა სოლიდური სიმსივნეებისა და ლიმფომების ჰისტომორფოლოგიურ და მოლეკულურ დიაგნოსტიკას. მორფოლოგიის ინსტიტუტში დასმულ დიაგნოზებს უმაღლესი შეფასება ეძლევა გერმანელი კოლეგების მხრიდან. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში ბავშვთა სიმსივნეების სწორი მართვის დამკვიდრებაში, ხოლო მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევების დანერგვასა და განვითარებაში.

უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ, ინსტიტუტის ბაზაზე, განთავსდა თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტები და კვლევითი ლაბორატორიები.

ასეთი ინტეგრაცია ორმხრივ სასარგებლო აღმოჩნდა.

მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიები და ექსპერიმენტული ქირურგიული ცენტრის საოპერაციო გამდიდრდა მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობით, დანადგარებითა და ხელსაწყო-იარაღებით, რომლებიც თანამედროვე, სიღრმისეული კვლევების ჩატარებას და მიღებული შედეგების სარწმუნოობას უზრუნველყოფენ. უნივერსიტეტის სტუდენტებსა და დოქტორანტებს კი მიეცათ ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევებში ჩართვის საშუალება. უკვე დასრულების სტადიაშია ინსტიტუტის შენობის სრული რეაბილიტაცია. ამასთანავე შენარჩუნებულია მორფოლოგიის ინსტიტუტის ფართო ავტონომია, სიმბოლიკითა და რეკვიზიტებით.

ამდენად, მორფოლოგიის ინსტიტუტში ხელახლა ყალიბდება სამეცნიერო კვლევითი ბაზა, რომლის ანალოგი საქართველოში ძნელად შეიძლება მოიძებნოს, და რომელსაც უნარი შესწევს მოემსახუროს გაცილებით მეტ მეცნიერსა და მკვლევარს, მონაწილეობა მიიღოს ვრცელი სპექტრის ექსპერიმენტულ კვლევებში, დაავადებათა მოდელირებაში, სამკურნალო მეთოდების შემუშავებაში.

70 წლის მორფოლოგიის ინსტიტუტი თავისი სახელოვანი ისტორიის ახალ ფურცელს შლის.

# „შემოდგომის ლეგენდა 2016“ – გამარჯვებული ცნობილია

*პირველი გვერდიდან*

„შემოდგომის ლეგენდა 2016“-ის გამარჯვებული ცნობილია - პირველი ადგილისა და სპეციალური პრემიის მფლობელი გახდა ბექა ბერაძე მოთხრობით „ჰაერი“; მეორე ადგილის მფლობელია მინდია არაბული - „ქატო, ფქვილი და წიწიბურა“; მესამე ადგილი კი ლუკა გორდაძეს ერგო მოთხრობით „უფასო კოკა-კოლა“.

ნაშრომები კონკურსის მონაწილეებმა ყვარლის „ედემში“ შექმნეს. ამ გამარჯვებამდე მისასავლელად კი საკმაოდ გრძელი გზა გაიარეს.

ბექა ბერაძე თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტია. პირველ ტურში წარდგენილი მისი ნაწარმოები „როგორ ჩავიქნიე ხელი წერაზე“ იმ ადამიანის შესახებაა, რომელსაც მწერლობა უნდოდა. ერთხელაც თხზულების პერსონაჟი კერძო დეტექტივობას გადაწყვეტს და ბიზნესმენის ცოლის თვალთვალს დაიწყებს.

თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის, ლუკა გორდაძის ნაწარმოები „თავის უფლება“ იმ ადამიანზეა, რომელსაც თავი მოაჭრეს. თხზულება სამი ნაწილისგან შედგება: თავქუდმოგლეჯილი, თავზარდაცემული და მძიმე თავ-თავი. სამივე ნაწილში გადმოცემულია ერთი ისტორია ამ ადამიანისა და მისი თავის თანაცხოვრების შესახებ.

„ყოველ ჯერზე, როცა მგონია რო ორ კაცს გავცდი, რაღაცას პოულობენ და სამასი კაცით უკან მგზავნიან.“ – ეს კი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის, მინდია არაბულის თხზულებიდანაა







„საუბმის წერილები“. ამბავს ჰყვება შვილიშვილი, რომელსაც პაპა წერილებს უგზავნის საიქიოდან.

ამ ნაშრომებმა ახალგაზრდებს 330-მდე ნაწერიდან საუკეთესო 10-ისკენ გაუკვალა გზა. ახლად შექმნილმა მოთხრობებმა კი გამარჯვებაც მოუტანა.

თსუ-სა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტი - სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი წელს მერვედ ტარდება. კონკურსში საქართველოს მასშტაბით აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის სტუდენტები მონაწილეობენ. პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი დაჯილდოვდა. მეორე და მესამე ადგილის მფლობელებს, შესაბამისად, 700 და 500 ლარი გადაეცათ.

წელს ლიტერატურული ჟიური 6 წევრისგან შედგება: მწერლები გურამ ოდიშარია, თეონა დოლენჯაშვილი, დათო ტურაშვილი, მაკა ლდოკონენი, დიანა ანფიმიადი და შარშანდელი კონკურსის გამარჯვებული ანი გიგაშვილი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge